ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ტურიზმის განვითარების ინსტიტუტი

”დამტკიცებულია”
თსუ აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი № ....

გიდის (ტურის მეგზურის) ბიზნესი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

(IV საფეხური)

2013

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ტურიზმის განვითარების ინსტიტუტი

გიდის (ტურის მეგზურის) ბიზნესი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

(IV საფეხური)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

გიდი (ტურის მეგზური)
(020551)

„შეთანხმებულია“

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ე. ლეკაშვილი
.....

„შეთანხმებულია“

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი
თ. ვეფხვაძე
.....

პროგრამის ხელმძღვანელი
ეკონომიკის დოქტორი, თსუ სრული პროფესორი,
ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი
მაია მარგველაშვილი

.....

2013

I. პროგრამის დასახელება ..... გვ. 4
II. პროფესიული განათლების საფეხური ..... გვ. 4
III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ..... გვ. 4
IV. პროგრამის მოცულობა ..... გვ. 4
V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ..... გვ. 4
VI. პროფესიული პროგრამის მიზანი ..... გვ. 4
VII. სწავლის შედეგი ..... გვ. 4
VIII. სწავლის შედეგების რუქა ..... გვ. 9
IX. სასწავლო გეგმა ..... გვ. 9
X. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა ..... გვ. 11
XI. ცოდნის შეფასების სისტემა ..... გვ. 11
XII. სწავლების მეთოდები ..... გვ. 12
XIII. განმახორციელებელი ადამიანური რესურსები ..... გვ. 12
XIV. აუცილებელი მატერიალური რესურსები ..... გვ. 12
XV. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ..... გვ. 13
XVI. პროგრამის ბიუჯეტი ..... გვ. 13
დანართი 1 – კურსების სილაბუსები ..... გვ. 14
დანართი 2 – კათედრის სხდომის ოქმი ..... გვ. ...
დანართი 3 –ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტთან..... გვ. ...

პროგრამის შინაარსი

I. პროგრამის დასახელება – გიდის (ტურის მეგზურის) ბიზნესი (Tour Guiding Business).

II. პროფესიული განათლების საფეხური - IV საფეხური

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - გიდის (ტურის მეგზური) IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია; IV Step Tour-Guide;

IV. პროგრამის მოცულობა – 60 ECTS კრედიტი; სასწავლო 285სთ/პრაქტიკა 315 სთ.

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ჩაბარება (ჩარიცხვისათვის სავალდებულო ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობა დასტურდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგების საფუძველზე).

VI. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანს წარმოადგენს ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების - გიდების (ტურის მეგზურების) მომზადება და ორიენტირებულია პროფესიული კომპეტენციების მოკლე ვადაში გამომუშავებაზე. მისი მიზანია ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა; ინდივიდის დასაქმების, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა თუ თვითდასაქმების ხელშეწყობა; ტურის მეგზურობისათვის გიდი წარმოადგენს ტურისტთა მომსახურე გუნდის ნაწილს, რომლის კვალიფიკაციაზე დამოკიდებულია ტურის საერთო წარმატება და ქვეყნის სათანადოდ წარდგენა საერთაშორისო არენაზე. ტურიზმის სპეციალობების დაუფლებაზემზარდ მოთხოვნას ადასტურებს 2012/1013 სასწავლო წლის ეროვნულ სახელმწიფო გამოცდებზე ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე არსებული მაღალი კონკურსი: ერთ ადგილზე პირველი განაცხადით მოდიოდა 8-ზე მეტი მსურველი.

VII. სწავლის შედეგი

პროგრამის დასრულების შემდეგ კვალიფიციურ გიდებს ექნებათ ტურიზმის ინდუსტრიის სფეროსათვის დამახასიათებელი პროცესების, პრინციპებისა და კონცეფციების მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და უნარები, რომელის საფუძველზეც ისინი შეძლებენ ამ სფეროში საკუთარი ბიზნესის წამოწყებას და განვითარებას. პროგრამის ათვისების შედეგად პროფესიული სტუდენტები მიიღებენ დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს. პროგრამით განსაზღვრულია შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

1. <u>ცოდნა და გაცნობიერება</u>

იცის:

1.1 მომხმარებლის მომსახურება

- მომსახურების სფეროს თანამშრომლების როლი, სამუშაოსათვის აუცილებელი მახასიათებლები;
- უცხო კულტურის თვისებების მქონე მომხმარებლის (რასა, ეროვნება, მოქალაქეობა, სოციალური სტატუსი, ასაკი) მომსახურების სპეციფიკა;
- სტუმრის ჯგუფური და ინდივიდუალური მომსახურება;
- ეტიკეტი და პროფესიული ეთიკა.

1.2 საქართველოს ისტორია და თანამედროვეობა:

საქართველოს ისტორიის ძირითადი საკითხები. მათ შორის:

- პირველი ქართული სახელმწიფო წარმონაქმნები და ქართველთა წარმომავლობის საკითხი
- საქართველოს ძირითადი არქეოლოგიური აღმოჩენები;
- ადრეკლასობრივი ქართული სახელმწიფოები
- ქრისტიანული ეპოქა; მართლმადიდებლობა;
- ქართული ენა და დამწერლობა; უძველესი წარწერების თარიღები;
- ისტორიული ომები;
- ისტორიული თარიღები; ცნობილ მეფეთა მეფობის წლები;
- საქართველოში გავრცელებული რელიგიები;
- ისტორიული წყაროები და თხზულებები;
- სავაჭრო ურთიერთობები;
- „აბრეშუმის გზა“ და საქართველო
- საქართველო და „საბჭოთა კავშირის ეპოქა”
- საქართველოს უახლესი ისტორია;
- კავკასია და კავკასიელები: მეზობელი ქვეყნების ისტორიის, გეოგრაფიის, რელიგიის, კულტურისა და ხელოვნების საფუძვლები;
- საქართველოში მცხოვრები დიდი და მცირე ეთნიკური ჯგუფები, მათი დასახლებები და თავისებურებები;
- საქართველოს დღევანდელი სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა და ქვეყანაში მიმდინარე ძირითადი რეფორმები (ზოგადი ინფორმაცია);
- ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობა;

1.3 საქართველოს კულტურისა და ეთნოლოგიის საკითხები

- არქიტექტურის ისტორია. ხუროთმოძღვრული და კულტურის ძეგლები: ეკლესია-მონასტრები, ციხე-სიმაგრეები და კოშკები, სამოქალაქო ნაგებობები (მათი დასახელებები, აგების თარიღები და ავტორები, და მათთან დაკავშირებული ცნობილი ფაქტები, ძირითადი არქიტექტურული მახასიათებლები);
- სახვითი ხელოვნება (საბაზისო ცოდნა);
- მუსიკა (საბაზისო ცოდნა);
- კინო, თეატრი და ოპერა (საბაზისო ცოდნა);
- საეკლესიო, სამოქალაქო და ხალხური დღესასწაულები; ღონისძიებები და ფესტივალები;
- საქართველოს ტრადიციები, სულიერი კულტურა და ხალხური დღეობები;
- მატერიალური კულტურა და ხალხური რეწვა;
- სოციალური ურთიერთობები (მაგ.ქორწინების ინსტიტუტი);

- მეურნეობის ფორმები;
- ქართული სამზარეულო და ტრადიციული კერძები;
- მეღვინეობა;

1.4 ეკონომიკა: ეკონომიკის, ბიზნესისა და ტურიზმის საფუძვლები

- საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა; ინვესტიციები;
- საქონლის იმპორტი და ექსპორტი;
- ტურიზმის მარკეტინგის საბაზისო ცოდნა;
- ტურიზმის ბიზნესის საფუძვლები;
- ქვეყნის ტურისტული ინფრასტრუქტურა;
- ბიზნეს კომუნიკაცია;

1.5 საქართველოს გეოგრაფია, ბუნება და ლანდშაფტი

- გეოგრაფიული მხარეები და ორიენტირება;
- საქართველოს საზღვრები;
- ქვეყნის ყველა კუთხისა და რაიონული ცენტრების დასახელება და მდებარეობა;
- საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფის სისტემა;
- ძირითადი დასახლებული პუნქტების სიმაღლეები ზღვის დონიდან;
- დისტანცია და გადაადგილების დრო საქართველოს ძირითად პუნქტებს შორის;
- ქედები და მთათა სისტემები;
- გეოლოგიის საბაზისო ცოდნა;
- მწვერვალების სიმაღლეები, მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების და სახელწოდებები;
- კლიმატური ზონები (საბაზისო ცოდნა);
- ფლორა და ფაუნა (საბაზისო ცოდნა);
- საქართველოს დაცული ტერიტორიები, ნაკრძალები და ეროვნული პარკები;
- რეკრეაციული რესურსები;
- საქართველოს სასაზღვრო-გამშვები პუნქტების მდებარეობა;

1.6 საქართველოს კანონმდებლობა და პროფესიული ეთიკა

- საქართველოს შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები;
- პროფესიის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობა და ძირითადი საერთშორისო ნორმატიული აქტები;
- ტურთან დაკავშირებული სასაზღვრო და საბაჟო წესები (საბაზისო ცოდნა);

1.7 საქართველოში გადაადგილების საშუალებები და ტრანსპორტი /საბაზისო ცოდნა

- სარკინიგზო მიმოსვლა და მარშრუტები;
- საერთაშორისო და შიდა ფრენები;
- ავტობუსითა და სამარშრუტო ტაქსებით რეგულარული გადაადგილების მარშრუტები;
- ტრანსპორტით მოძრაობის წესები და აკრძალვები;
- საქართველოს აეროპორტების მუშაობის სქემა ზოგადად;

1.8 ტუროპერატორი კომპანიის სტრუქტურა

- საორგანიზაციო სტრუქტურა;

- ტურისტული პროდუქტი;
- მომსახურების მომწოდებლები;
- დამკვეთები;

1.9 გარემოს დაცვა და ეკოლოგია

- გარემოს დაცვა დაბინძურებისაგან;
- ეკოლოგიურად სახიფათო ნარჩენები;
- საქართველოს ბიომრავალფეროვნება
- საქართველოს დაცული ტერიტორიები

1.10 უსაფრთხოება

- საქართველოში არსებული საფრთხეები (ცხოველები, ქვეწარმავლები, სტიქია, კრიმინალური სიტუაცია, ტრანსპორტის მოძრაობა, ეპიდემია, ალერგიული მცენარეულობა ან საკვები);
- პირველადი სამედიცინო დახმარების წესები;
- ახლომდებარე სამედიცინო კლინიკების მდებარეობა.
- საჭირო SOS ნომრები.

1.11 ცოდნა სპეციალობაში

- ექსკურსიის მომზადებისა და ჩატარების მეთოდიკა;
- ჩვენების მეთოდური ხერხები და მათი გამოყენება ექსკურსიაში
- თხრობის მეთოდური ხერხები და მათი გამოყენება პრაქტიკაში
- ახალი ექსკურსიის მომზადების პრინციპები;

2. <u>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</u>

შეუძლია:

2.1 საექსკურსიო ტექსტის მომზადება; ტურისტული მარშრუტისათვის, ასევე ტურისტული ჯგუფისათვის ძირითადი ან დამატებითი ინფორმაციის მოძიება;

2.2 ექსკურსიის ჩატარება ტურის განხორციელება გეგმის შესაბამისად;

2.3 ტრანსპორტის ორგანიზება (დროისა და სამუშაო გრაფიკის შეთანხმება);

2.4 სასაზღვრო სამსახურთან კომუნიკაცია (თანამშრომლობა);

2.5 რუკის გამოყენება;

2.6 რუკის დახმარებით ქვეყნის გაცნობა;

2.7 დაგეგმილ მარშრუტებზე ამომწურავი ინფორმაციის საინტერესოდ გადაცემა და შესაბამისი ახსნა-განმარტება;

2.8 ღირშესანიშნაობებზე ინფორმაციის მუდმივი განახლება (მუშაობის საათები);

2.9 კვების ორგანიზება (კვების ობიექტებთან დროისა და სტუმართა კვების თავისებურებების შეთანხმება);

2.10 ღამისთევის (სასტუმროს) ორგანიზება (სტუმართა განთავსების გეგმის შესაბამისად განხორციელება);

2.11 ტურისტთა მოთხოვნების გათვალისწინება პასუხისმგებლობის ფარგლებში;

2.12 უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების დაცვა;

2.13 ტურის მსვლელობის ხარისხის კონტროლი;

2.14 ტურის მიმდინარეობისას შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება;
2.15 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა მომსახურება;
2.16 სამამულო და ადგილობრივი მომხმარებლის მომსახურება;
2.17 მომხმარებელთა დროულად გაფრთხილება; მომსახურებისთვის მზადყოფნა;

3. <u>დასკვნის უნარი</u>

შეუძლია

3.1 დამოუკიდებლად მოქმედება, მუშაობის საკუთარი სტილის შემუშავება, საკუთარი ფუნქციების, მოვალეობებისა და ვალდებულებების გაცნობიერება; შეუძლია: გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება; კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა; აქვს სიტუაციის ანალიზისა და პრობლემის მოგვარების უნარი; წინდახედულება (შეცდომის პრევენცია და მოგვარება); რჩევის მიღებისა და საყვედურის გაცნობიერება; კოლეგების მითითებების და შენიშვნების მიღება, გათვალისწინება და სათანადო დასკვნის გამოტანა ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით.

3.2 პრობლემების გადაჭრის და გადაწყვეტილების მიღების უნარი: პრობლემების შეფასება ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა, ექსტრემალურ, კონფლიქტურ, სტრესულ და სახიფათო სიტუაციებში თავდაჭერისა და ადექვატური ქმედების უნარი; უნდა შეეძლოს ამა თუ იმ ქმედების დადებითი და უარყოფითი მხარეების განჭვრეტა, განსჯა, ინფორმაციის გაანალიზება და მისაღები გადაწყვეტილების შერჩევა; სტუმრებთან პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში არგუმენტირებული ახსნა-განმარტება; გაუთვალისწინებელი პრობლემის წარმოქმნისას, სტუმრის პრეტენზიის შემთხვევაში, ადექვატური გადაწყვეტილების მიღება; მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით, სტუმრის საჩივრის შემთხვევაში, სტუმრის კეთილგანწყობის შენარჩუნება და პრობლემის აღმოფხვრა; სხვადასხვა ასაკისა და ეროვნების სტუმრის სურვილების განსაზღვრა და მომსახურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. მომხმარებლისგან მიღებული ინფორმაციის იდენტიფიცირების და კატეგორიებად დაყოფის უნარი; ამოცანის გადასაწყვეტად გარკვეული მიდგომების შემუშავების და მიღებული შედეგების ანალიზის უნარი; უნდა გააჩნდეს საკუთარი სამუშაოს ორგანიზების და სწორედ დაგეგმვის უნარი; უნდა შეძლოს როგორც გუნდში, ასევე დამოუკიდებლად მუშაობა; უნდა შეეძლოს ხელმძღვანელთან ან კოლეგებთან ერთად დღის ან დროის უფრო ხანგრძლივ მონაკვეთში შესასრულებელი სამუშაოების დაგეგმვა; სამუშაოსათვის დამახასიათებელი ელემენტებისა და მომსახურების განსაზღვრული ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულება და სამუშაოებისკოორდინაცია; საქმიანობის კოორდინირება მენეჯერთან.

4. <u>კომუნიკაციის უნარი</u>

აქვს

4.1 კარგი საკომუნიკაციო და ინტერპერსონალური თვისებები; შეუძლია ქართულ და სხვა უცხო ენაზე გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში საჭირო ინფორმაციის გაგება, გააზრება, მოძიება.

4.2 შეუძლია სტუმრის თხოვნის ყურადღებით მოსმენა, მოსმენილის გაგება, გააზრება და საჭიროებების დაზუსტება; წარმოქმნილი პრობლემის შესახებ ინფორმაციის დეტალური და ამომწურავი მიწოდება. შეუძლია კომუნიკაცია და თანამშრომლობა სასაზღვრო სამსახურთან; დაგეგმილ მარშრუტებზე ამომწურავი ინფორმაციის საინტერესოდ გადაცემა და შესაბამისი ახსნა განმარტება; ტრანსპორტის ორგანიზება - დროისა და სამუშაო გრაფიკის შეთანხმება; კვების ორგანიზება - კვების ობიექტებთან დროისა და სტუმართა კვების თავისებურებების შეთანხმება; ღამისთევის/სასტუმროს ორგანიზება - სტუმართა განთავსების გეგმის შესაბამისად განხორციელება; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან კომუნიკაციის უნარი;

4.3 ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია დარგის პროფესიული უზრუნველყოფის გამოყენება; შუძლია ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში, სპეციალურ ლიტერატურასა და კოლეგების გამოკითხვის გზით; მუდმივად და ეფექტურად იღებს ინფორმაციას სფეროში არსებული თანამედროვე მიმდინარეობების შესახებ ჟურნალებიდან, სახელმძღვანელოებიდან, წიგნებიდან და სპეციალური ინტერნეტ გვერდებიდან.

4.4 ფლობს უცხო ენას მაღალ დონეზე, შეუძლია დიალოგის წარმართვა და ენის პრაქტიკული გამოყენება; აუცილებლად უნდა ჰქონდეს მკაფიო და გამართული მეტყველება, სწორი არტიკულაცია; დეტალურად ახსნისა და განმარტების მიცემის უნარი; საინტერესოდ თხრობის უნარი.

5. <u>სწავლის უნარი</u>

5.1 შეუძლია კურიკულუმით განსაზღვრული პროგრამის თეორიული და პრაქტიკული ნაწილის ათვისება და შესწავლა, ნასწავლი მასალის გადმოცემა, შეფასების მიღება.

5.2 შეუძლია ლიტერატურის და წყაროების მოძიება, დამუშავება და ანალიზი, საკუთარი სწავლის დაგეგმვა, ინფორმაციის მუდმივი განახლება, თვითგანვითარება და ცოდნის გაღრმავება.

6. <u>ღირებულებები</u>

6.1 სრულყოფილად იცნობს ტურისტული ბიზნესის სფეროს, მომსახურების არსს და ტუმარმასპინძლობის ძირითად პრინციპებს, პროფესიული ეთიკის ძირითად პრინციპებს, გაცნობიერებული აქვს საკუთარი მოვალეობები, ფუნქციები და პასუხისმგებლობა. არის მომღიმარი, ზრდილობიანი, თავაზიანი და ყურადღებიანი;

6.2 ახასიათებს ორგანიზებულობა, დისციპლინა, პუნქტუალობა და მოწესრიგებულობა, საკუთარი და სხვისი ფუნქციების და მოვალეობების გაცნობიერება, კონსტრუქციული თანამშრომლობა და კეთილგანწყობა კოლეგებთან და პერსონალთან, სხვისი დახმარება, საქმისადმი პატიოსანი და ეთიკური მიდგომა;

6.3 გულისყურით ეკიდება სტუმრის თხოვნას; კრიტიკულ სიტუაციაში არ კარგავს მობილიზაციის უნარს და მაქსიმალურად ცდილობს მომხმარებლის

დაკმაყოფილებას. აქვს დროის განსაზღვრის და მართვის უნარი; არის ტოლერანტული, აკურატული, მომთმენი და ემოციურად სტაბილური.

6.4 ახასიათებს შემოქმედებითობა და ლიდერობის უნარი; აქვს საკუთარი ქვეყნის კანონებისა და ტრადიციების პატივისცემა; ეკოლოგიური ცნობიერება. იცავს უსაფრთხოების წესებსა და პირადი ჰიგიენის ნორმებს; მუდმივად ზრუნავს ტურის მსვლელობის ხარისხზე.

VIII. სწავლის შედეგების რუქა

სასწავლო კურსები/ მოდულები/საგნები	სწავლის შედეგები					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ინგლისური ენა 1	x	x	x	x	x	x
ინფორმატიკა ბიზნესში	x	x	x	x	x	
ინგლისური ენა 2	x	x	x	x	x	x
საქართველოს ისტორია	x	x	x	x	x	x
მიკროეკონომიკის პრინციპები	x	x	x	x	x	x
საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია	x	x	x	x		
საქართველოს ეთნოგრაფია	x	x	x	x	x	x
შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში	x	x	x	x	x	x
მენეჯმენტის საფუძვლები	x	x	x	x	x	
შესავალი ფსიქოლოგიაში	x	x		x	x	x
მარკეტინგის საფუძვლები	x	x	x	x	x	x
სოციოლოგიის შესავალი	x	x			x	x
ტურიზმის ეკონომიკა	x	x	x	x	x	x
მსოფლიო ხელოვნების ისტორია	x	x	x		x	x
საქართველოს მუზეუმების კოლექციები	x	x	x	x	x	x
პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	x	x		x		
ტურის მეგზურის ბიზნესი 1	x	x	x	x	x	x
ტურისტთა დაცულობა და უსაფრთხოება	x	x				
ტურის მეგზურის ბიზნესი 2	x	x	x	x	x	x
საწარმოო პრაქტიკა		x	x			x

IX. პროგრამის სასწავლო გეგმა

პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამის ხანგრძლივობა 1 აკადემიური წელია (2 სემესტრი) – 60 ECTS კრედიტი (ერთი სემესტრი - 30 ECTS კრედიტი). სემესტრი 19 კვირიანია. სასწავლო პროცესის სემესტრული ხანგრძლივობა შეადგენს 15 კვირას. თითოეული კურსი 3 ECTS კრედიტიანია (30 საკონტაქტო საათი) და მიეწოდება სტუდენტებს მკაცრად სასწავლო პროგრამაში მითითებული თანამიმდევრობით: 3 კვირის განმავლობაში, ანუ 15 სასწავლო დღის განმავლობაში (დღეში 2 საკონტაქტო საათი - 1 სთ ლექცია და 1 სთ პრაქტიკული მეცადინეობა). დასკვნითი გამოცდა ბარდება თითოეული კურსის დამთავრებისთანავე. ამასთან, ერთდროულად ხდება ორი კურსის სწავლება, რაც დღეში 4 საკონტაქტო საათს შეადგენს.

#	კ უ რ ს ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	სულ საათების რ-ბა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა				დამოუკიდებელი მუშაობის საათები
				საკონტაქტო საათები				
				ლექცია/ პრაქტიკული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/ დასკვნითი შეფასება	
პირველი სემესტრი								
1	ინგლისური ენა 1	3	75	15/15			1/2	45
2	ინფორმატიკა ბიზნესში	3	75	15/15			1/2	45
3	ინგლისური ენა 2	3	75	15/15			1/2	45
4	საქართველოს ისტორია	3	75	15/15			1/2	45
5	მიკროეკონომიკის პრინციპები	3	75	15/15			1/2	45
6	საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია	3	75	15/15			1/2	45
7	საქართველოს ეთნოგრაფია	3	75	15/15			1/2	45
8	შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში	3	75	15/15			1/2	45
9	მენეჯმენტის საფუძვლები	3	75	15/15			1/2	45
10	შესავალი ფსიქოლოგიაში	3	75	15/15			1/2	45
	ჯამი	30	750	15/15			1/2	450

მეორე სემესტრი								
11	მარკეტინგის საფუძვლები	3	75	15/15			1/2	45
12	სოციოლოგიის შესავალი	3	75	15/15			1/2	45
13	ტურიზმის ეკონომიკა	3	75	15/15			1/2	45
14	მსოფლიო ხელოვნების ისტორია	3	75	15/15			1/2	45
15	საქართველოს მუზეუმების კოლექციები	3	75	15/15			1/2	45
16	პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	3	75	15/15			1/2	45
17	ტურის მეგზურის ბიზნესი 1	3	75	15/15			1/2	45
18	ტურისტთა დაცულობა და უსაფრთხოება	3	75	15/15			1/2	45
19	ტურის მეგზურის ბიზნესი 2	3	75	15/15			1/2	45
20	საწარმოო პრაქტიკა	3	75	-		30	-	45
	სულ	**60**	**1500**	**285/285**		**30**	**38/76**	**900**

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა)

პროგრამაზე სწავლება წარიმართება ქართულ ენაზე.

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- მეცადინეობებზე (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა) დასწრებას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას, მათ შორის გამოცდებისათვის მზადებას;
- სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას;
- შუალედური და დასკვნითი გამოცდების (ტესტების) ჩაბარებას.

XI. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

91 - 100	ფრიადი	A
81 - 90	ძალიან კარგი	B
71 - 80	კარგი	C
61 - 70	საშუალო	D
51 - 60	დამაკმაყოფილებელი	E
41 - 50	არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება	FX
0 - 40	სრულიად არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტმა კრედიტის მისაღებად თავიდან უნდა გაიაროს კურსი	F

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასების ფორმებია: შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. ცოდნის შედეგების შეფასების სხვადასხვა მეთოდები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე, დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

XII. სწავლების მეთოდები

სწავლების ფორმატიდან პროგრამაში გათვალისწინებულია: ლექცია, სემინარული მეცადინეობა, პრაქტიკული მეცადინეობა; სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები: ჯგუფური მუშაობა, დისკუსია/დებატები, წყვილში მუშაობა, ვერბალური მეთოდი, დამოუკიდებელი მუშაობა, წერითი მუშაობის მეთოდი (ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება), დისკუსია, ახსნა-განმარტება, ანგარიშის მომზადება, ტესტირება, წიგნზე მუშაობა, პრეზენტაციების მომზადება/დემონსტრირება და სხვ.

XIII. პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ინგლისური ენა 1		
ინფორმატიკა ბიზნესში	რუსუდან სეთურიძე	ასოც. პროფესორი
ინგლისური ენა 2		
საქართველოს ისტორია	ანდრო გოგოლაძე	ასოც. პროფესორი
ეკონომიკის პრინციპები 1 (მიკროეკონომიკის პრინციპები)	მზია ბარამიძე	დოქტორანტი
საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია	ია იაშვილი	ასოც. პროფესორი
საქართველოს ეთნოგრაფია	ხათუნა იოსელიანი	ისტ. დოქტორი
შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში	მაია მარგველაშვილი	სრული პროფესორი
მენეჯმენტის საფუძვლები	ეკა ჩოხელი	ასოც. პროფესორი
შესავალი ფსიქოლოგიაში	ზურაბ მხეიძე	პროფესორი
მარკეტინგის საფუძვლები	ნანა კაციტაძე	ასოც. პროფესორი
სოციოლოგიის შესავალი	იაგო კაჭკაჭიშვილი	სრული პროფესორი
ტურიზმის ეკონომიკა	მაია მარგველაშვილი	სრული პროფესორი
მსოფლიო ხელოვნების ისტორია	გია ბუღაძე	სრული პროფესორი
საქართველოს მუზეუმების კოლექციები	ზვიად კვიციანი	პროფესორი
პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	ნინო ჩიხლაძე	ასოც. პროფესორი
ტურის მეგზურის ბიზნესი 1	მაია მარგველაშვილი	სრული პროფესორი
ტურისტთა დაცულობა და უსაფრთხოება	კახაბერ ჭეიშვილი	ჰუმ. მეცნ. დოქტორი
ტურის მეგზურის ბიზნესი 2	მაია მარგველაშვილი	სრული პროფესორი
საწარმოო პრაქტიკა	კახაბერ ჭეიშვილი	ჰუმ. მეცნ. დოქტორი

XIV. პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

- თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (თსუ, X - მაღლივი კორპუსი, უნივერსიტეტის ქ. #2) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არსებული რესურსები, მათ შორის: ბიბლიოთეკა, საპრეზენტაციო პროექტორით აღჭურვილი აუდიტორიები (15), კომპიუტერული ლაბორატორიები (6), რესურს-ცენტრები (3), სტუდენტთა მომსახურების ცენტრი და სხვ. სტუდენტთათვის გათვალისწინებულია შესაბამისი რაოდენობით კომპიუტერული ტექნიკა, მათ შორის: პროცესორი -185, მონიტორი - 185, პრინტერი - 5, პროექტორი - 19, ლეპტოპი - 2, ასლის გადამღები - 2 და სკანერი - 2. წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნიკა უზრუნველყოფილია ისეთი პროგრამებით, როგორებიცაა: Adobe Reader, Microsoft Office 2007, Nero, WinRAR, GOM player, USB.Disk.Security, Pagemaker 7.0, Adobe Photoshop7, antivirus - Avira, AVG, Symantec.
- ტურიზმის საერთაშორისო სკოლის (ვაჟა-ფშაველას პრ. #44) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არსებული რესურსები, მათ შორის: საერთო ფართი 3382 კვ.მ., ბიბლიოთეკა, LCD პროექტორით აღჭურვილი აუდიტორიები (2), კომპიუტერული ლაბორატორიები (2), რესურს-ცენტრები (2), სტუდენტთა მომსახურების ცენტრი და სხვ. სტუდენტთათვის გათვალისწინებულია შესაბამისი რაოდენობით კომპიუტერული ტექნიკა, მათ შორის: პროცესორი და მონიტორი - 84, პრინტერი - 6, LCD პროექტორი - 3, ლეპტოპი - 1, ასლის გადამღები - 4, სკანერი - 2, ვიდეოკამერა - 5. წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნიკა უზრუნველყოფილია ისეთი პროგრამებით, როგორებიცაა: Adobe Reader, Microsoft Office 2007, Nero, WinRAR, Pagemaker 7.0, Adobe Photoshop7, antivirus – AVG და ა.შ.

სტუდენტთა საერთო რაოდენობა, არსებული მატერიალურ–ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსების პირობებში, არ უნდა აღემატებოდეს 150-ს.

XV. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

დიპლომირებულ გიდებს შეეძლებათ დადგენილი წესით გააგრძელონ სწავლა ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად, როგორც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში საბაკალავრო პროგრამებზე.
ათვისებული საშუალო პროფესიული განათლების პროგრამები უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიძლება ჩათვალოს უმაღლესი განათლების კრედიტებად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დროს (საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, მე-40 მუხლის მე-7 პუნქტი).

XVI. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი – 25 საათი), სულ 1500 საათი (საკონტაქტო – 228სთ, დამოუკიდებელი მუშაობა – 1272 სთ.). სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის კომპონენტები მოიცავს საერთო მოცულობის 40 %.

სტუდენტების მინიმალური რაოდენობა – 25
ღირებულება – 1000 ლარი
შემოსული თანხა სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის შემთხვევაში –25000 ლარი

ხარჯები:
კომუნალური და სხვა სახის გადასახადები საერთო შემოსავლის 10% – 1500 ლარი
პედაგოგების ანაზღაურება (თეორიული კურსები) :

(1 სთ. – 20 ლ (დოქტორის ხარისხის მქონე პედაგოგებისათვის), 1სთ. – 15 ლ (მოწვეული პედაგოგებისათვის))
სარეკლამო ხარჯები – 500 ლარი
საწარმოო პრაქტიკის პედაგოგების ანაზღაურება – 600 ლარი